სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის საქმიანობის 2024 წლის ანგარიში

- 2024 წლის თებერვალში ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა გეოდეზიური აზომვებისა და ტოპოგრაფიული რუკების შესაქმნელად პირველად დაიწყო საჰაერო გადაღებების გამოყენება.აღნიშნული მეთოდით მოპოვებული მონაცემები ზუსტად ახდენს ობიექტების გეომეტრიული მახასიათებლების განსაზღვრას, სივრცეში მათი განთავსების და ურთიერთქმედების ვიზუალიზაციას, რაც კარტოგრაფებს უმარტივებს რუკების შექმნაზე და მათ განახლებაზე მუშაობას.
- მარტის თვეში, საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის ჰიდროგრაფიული კვლევის, კარტოგრაფიის და კორექციის სამმართველოს უფროსმა და კარტოგრაფმა სტამბულში გამართულს საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის შავი და აზოვის ზღვების (BASWG 17) რიგით მე 17 სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე მიიღეს მონაწილეობა.
  BASWG შეხვედრებზე განიხილება რეგიონში წარმოებული საზღვაო რუკების საზღვრების დელიმიტაციის, საზღვაო რუკათა წარმოების და ნაოსნობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები.
  შეხვედრის ფარგლებში საქართველომ ახლად შექმნილი საზღვაო სანავიგაციო რუკები და ბოლო ორი წლის მანძილზე სამსახურის მიერ ნაოსნობის უსაფრთხოების მიზნით გაწეული სამუშაოების და ინოვაციური პროექტების ანგარიში წარმოადგინა.
- საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის კარტოგრაფმა მანანა კირთაძემ საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციისა (IHO) და ელექტრონული სანავიგაციო სქემების საერთაშორისო ცენტრის (IC- ENC) მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე -"ელექტრონული სანავიგაციო რუკების (ENC) ხარისხი და კონვერტაცია" მიიღო მონაწილეობა, რომელიც 2024 წლის 19-25 მაისს თურქეთის ქალაქ სტამბოლში გაიმართა.
  აღნიშნულ ტრენინგზე მონაწილეებმა ელექტრონული სანავიგაციო რუკების ვალიდაციის სრული პროცესი შეისწავლეს ასევე ჩაერთნენ საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის S-100 სტანდარტის დანერგვის პროცესში.
- ჰიდროგრაფიული სამსახურის რადიო-ნავიგაციური სამმართველოს უფროსმა, ნიკა მიმინოშვილმა საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის (IHO) პროგრამის ფარგლებში ტრენინგ-კურსი ,,ინფორმაცია ზღვაზე უსაფრთხოების შესახებ“ გაიარა, რომელიც თურქეთში ქალაქ სტამბოლში გაიმართა.
- სამსახურის ჰიდროგრაფიული კვლევის, კარტოგრაფიის და კორექციის სამმართველოს უფროსი და კარტოგრაფი საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის (IHO) ჰიდროგრაფიული მომსახურებისა და სტანდარტების კომიტეტის მე-16 შეხვედრას დაესწრნენ, რომელიც იაპონიაში, ტოკიოში 2024 წლის 27 -31 მაისს მიმდინარეობდა.

შეხვედრაზე S-100 (უნივერსალური ჰიდროგრაფიული მონაცემთა მოდელი) და S-101 (მონაცემთა განახლებული მარტივი პროცესი, პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესება) სტანდარტებზე გადასვლის პროცესები იქნა განხილული, ასევე ჰიდროგრაფიაში საზღვაო სივრცითი მონაცემების როლი, რომელიც ფოკუსირებულია საზღვაო სტანდარტების წვდომაზე.

- სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა ხმელთაშუა და შავი ზღვების ჰიდროგრაფიული კომისიების რიგით 24-ე (MBSHC) შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც 2024 წლის 2-4 ივლისს რუმინეთში, ქალაქ კონსტანცაში გაიმართა.

  აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში ზემოაღნიშნული აუზის ქვეყნების ელექტრონული რუკების ურთიერთგადაფარვასთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე საერთაშორისო რუკათა კატალოგის განახლებასთან დაკავშირებული საკითხები იქნა განხილული. აღსანიშნავია რომ ამავე კატალოგში განთავსებულია საქართველოს მიერ წარმოებული ხუთი საზღვაო რუკა.

- ივლისში ყულევისა და ანაკლიის მიმდებარე რაიონებში კოლხეთის ეროვნული ნაკრძალის აკვატორიაში ორი ერთეული სპეციალური ოკეანოგრაფიული საკვლევი მოწყობილობა (TRBM-ADCP) განთავსდა, რომელიც წყალქვეშა დინებების, წყლის სიჩქარის და მიმართულების, ასევე წყლის სხვა მახასიათებლების შესახებ მონაცემების მოპოვებას და დაარქივებას ახორციელებს.

  აღნიშნული მოწყობილობები ერთი თვის მანძილზე იქნება განთავსებული ზღვის ფსკერზე მონაცემების შეგროვების და შემდგომში ჰიდროგრაფიულ საქმიანობაში გამოყენების მიზნით.

- აგვისტოში, ჰიდროგრაფიული სამსახურის კარტოგრაფი მანანა კირთაძე ელექტრონულ რუკათა მწარმოებელი ორგანიზაციის (IC-ENC) მმართველი კომიტეტის რიგით 25-ე ტექნიკურ შეხვედრას დაესწრო, რომელიც ინდონეზიაში, კუნძულ ბალიზე საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის ეგიდით გაიმართა.

  IC-ENC ჰიდროგრაფიულ უწყებებს სთავაზობს ხარჯთეფექტურ მომსახურებას საზღვაო მონაცემების პროდუქტების საერთაშორისო სტანდარტიზაციისათვის ასევე ზღვაზე სიცოცხლის უსაფრთხოების საერთაშორისო კონვენცია (SOLAS)-თან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

- ნოემბრის თვეში, ჰიდროგრაფიულ სამსახურში პროექტის - „საქართველოში ჰიდროგრაფიული და ოკეანოგრაფიული ინფრასტრუქტურის განვითარება“ შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა, რომელიც კორეის რესპუბლიკის ჰიდროგრაფიისა და ოკეანოგრაფიის სააგენტოს ეგიდით განხორციელდა.

  შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურისა და სამხრეთ კორეის ჰიდროგრაფიისა და ოკეანოგრაფიის სააგენტოს წარმომადგენლებმა და პროექტის განმახორციელებელი კომპანიების ხელმძღვანელმა პირებმა.

შეხვედრაზე მხარეებმა შეაფასეს პროექტის მიხედვით განხორციელებული სამუშაოები, ასევე გაიმართა ჰიდროგრაფიული სამსახურის სპეციალისტების პროფესიონალური განვითარების კუთხით ჩატარებული აქტივობების პრეზენტაცია. მხარეებს შორის ასევე განხილული იქნა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები დაისახა გეგმები.

- პროექტი - ,,საქართველოში ჰიდროგრაფიული და ოკეანოგრაფიული ინფრასტრუქტურის განვითარება“ 2020 წელს დაიწყო. პროექტმა მნიშვნელოვანი დამხარება გაუწია ბენეფიციარ ორგანიზაციას - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურს საზღვაო სივრცეში ნაოსნობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიმართულებით. კერძოდ, საქართველოს ნავსადგურებში დაინერგა ჰიდროგრაფიული ინფრასტრუქტურა, ჩატარდა წყლის ოკეანოგრაფიული კვლევები, რომლის ანალოგი კვლევა საქართველოს საზღვაო სივრცეში არ ჩატარებულა, აღნიშნული კვლევების ფარგლებში მიღებული შედეგები და მონაცემები მნიშვნელოვანია საზღვაო რესურსის ათვისებისა და სანაოსნო ინციდენტებისაგან თავის არიდებისათვის. სამსახურს გადმოეცა ინოვაციური ჰიდროგრაფიული ტექნოლოგიები, კვლევებისთვის განკუთვნილი დიდი ჰიდროგრაფიული კატამარანი სხვადასხვა საკვლევი აპარატურით და პროგრამული უზრუნველყოფით. ამასთან, პროექტის ერთერთ მთავარ კომპონენტს ჰიდროგრაფიული სამსახურის თანამშრომლების გადამზადება წარმოადგენდა. აღნიშნული აქტივობის ფარგლებში განხორციელდა ოცდაათამდე სასწავლო ტრენინგი თუ სამუშაო შეხვედრა.